ფასი 10 კაპ. 1909 1 იანვარი.

ალმანახი № 1

ერთობა

მკითხველთა საყურადღებოდ
სალიტერატურო მხატვრული ალმანახი დროგამოშვებით გამოვა სხვა-და-სხვა სახელებით. ყოველგვარი მიწერ-მოწერა და საბეჭდი მასალები, და ფულები გამოიგზავნება მხოლოდ ვალერიან გუნიას სახელობაზედ შემდეგის მარტივის ადრესით:
Тифлисъ Валеріану Гуніа.

✦ სალიტერატურო მხატვრული ალმანახი — სურათები, ნახატები და კარიკატურები. ✦

შენდამი

(ვუძღვნი ილია ჭავჭავაძის ხსოვნას)

ნუ ეჭვობ, მაინც შენი ვარ,
ვიდრე სულს ვლაფავ ტანჯულსა
მინამდე სამუდამოდა
ჩემს მზეს არ ჰნახავ ჩაქრულსა;

ილიას ძეგლი.

ი. ნიკოლაძის პროექტით, რომელიც მოწონებულ იქმნა და რომელიც მგოსნის საფლავზე დაიდგმის.

მაშინაც ვერ მომიშორებ
შენს გულს და გონში ჩაქსულსა.
ნუ ჰფიქრობ ტანჯვით ცხოვრებამ
მომიკლას შენი ტრფიალი:
რად მინდა უშინაარსო
სიცოცხლე ოხერ-ტიალი.

გასალკლდევებულს აზრითა
რას მიზამს შხამის ფიალი?
ზედ მოხეთქება მეხისა
თავზე ყვავ-ყორანთ ფრიალი?
დღესნამდე შენდამი ტრფობა,—
ახლა კი ვიტყვი კვეხნითა,—
თუ მოვიტანე უვნებლად
გვემული ათას მეხითა,
დღეიდან ოხერ-მოხრები
მას ვერ გასთელენ ფეხითა;
ვერ ამომგლეჯენ გულიდან
ვერა რომელი ხერხითა.
იმატებს ტანჯვა?—უწყიდე
ტრფობაც აიწევს მეტადა:
აიშლის ფაფარს მრისხანედ,
სდგეს იალბუზის ქედადა;
ის მუხლს გიყრიდეს და შენ კი
თავს დასცქეროდე ღმერთადა...
შენ რომ გახსენებ, ვინ შენა?
ნიანგნი სცქვეტენ ყურებსა.
ერთი უყურეთ, უყურეთ,
მაგ სისხლის მწოველს თულებსა!
ბრიყვების სმენა ღირსია
ვასმინო შენი სახელი?
თვით გიცნობს ვისაც უყვარხარ,
არ არს საჯაროდ სათქმელი!
ლოგინად ეკალს მიგებდე,
ზედა ვწვებოდე შიშველი,
გზაზეც მიფენდე,—მაინცა
რაც შემიძლიან გიშველი.
უნდა დავადნო შენს ბედსა
თვალი და გული ფხიზელი,
რადგან სხვა საშუალება
გამიქრა როგორც წინწელი.
აგიგებ ხელოვნურ ტაძარს,
ბუნება ჰყვანდეს მთეველი:
ვარსკვლავნი ცისა, მზე—მთვარით
ზღვა, ხმელეთზედა ტყე-ველი,
ია და ვარდი უქკნობლად
შენს თავზე ყვავილთ მრხეველი,
ბულბული სოროდან გველის

ტკბილის ხმით გამომწვეველი,—
თვით სიხარული ერისა
უშრეტი, დაულეველი—
და წმინდა სული მთათ თხემთა
ჰეშმარიტების მფრქვეველი.
თავზე დაგხურავ მანდილსა,
უნდა შეგმოსო კაბითა
იაფით... ფასს თუმც ვერ სდებდენ
ნაკერსა დიდის ჯაფითა.
ჩემთ ცრემლთა ღილებს შეგიბამ
მოქარგულს ტრფობის ძაფითა,
უკვდავს ვქმნი შენსა სახელსა
დღეს შემურვილსა ლაფითა.
შემკობილს აზრით და გრძნობით
მეც თან გახლდები დაფითა.

ვაჟა-ფშაველა

ᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲒᲘᲚᲔᲝᲓ

მშობელი ქვეყნის მოაზრევ,
უნდა გიმღერო მთურადა:
იმავ ჭირით ვარ სნეული
რაც შენ გატყვია წყლულადა.
რა უყოთ ბედი, შავ-ბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა
მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამურადა,—
შენ სამახსოვროდ, მგოსანო,
თავს ჩაჩქნად დასახურადა.
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკალასი
როგორც წისქვილში რაკუნი
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი გრძნობის ნაჟური.
დღევანდელ დღესა არ ძალ-მიძს,
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური.
ილიაც მესაუბრება
უნდა დაუგდო მას ყური.
დავალებული გულისა
უნდა ამოთქვას ენამა:
წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა სმენამა.
მეც ამატირა ბევრ ჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა.
რომ მიყვარს მამულიშვილი
დაე იცოდეს ყველამა,
გადაგვარების მოსურნე
შაჰამოს ტურა-მელამა!..
მადლობელი ვარ ღვაწლისთვის
შოთაის სულის ლხენამა—
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!..

ვაჟა-ფშაველა

ᲗᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲒᲐᲜᲘ

XIII *)

იმედთა რყევა

პოეტს ნება აქვს უმცირესი მოძრაობა გრძნობისა გვაუწყოს. დალოცვილს სადმე, ზღვის პირათ, ლამაზი ქალი დაუნახავს უნებლიედ აღვძვრია სურვილი ტალღებთან ერთად შეეხოს ტურფას პატარა ფეხებს, და ამ გრძნობის გამომხატველ ლექსს ხელით ვატარებთ, არ ვივიწყებთ.

მაშ, რათ უნდა დამიწუნოთ, თუ სადა პროზით, გულუბრყვილოდ გამოამჟღავნებ, რაც ამ თვეში გულმა იგრძნო და გონებამ გაზომა?! ამ ერთს თვეში ბევრი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. აქ ცისარტყელამ გადმოგვხედა, იმედი აღაფრთოვანა... იქ ნისლი გადაეფარა ნავარაუდევს სიამოვნებას.

დიდებულ პოეტს თაყვანი ვეცით, სიყვარულისა და სათნოების მთესველს მადლი შევსწირეთ სულთა განსპეტაკებისათვის, ჭირში და ლხინში ჩვენთან მყოფ ნათესავ-ჭირისუფალს აღტაცებითა და პატივისცემით სამაგიერო, საუკუნო სიყვარული გამოუცხადეთ. გრძნობდით, ხედავდით, რომ საქართველო შეერთებულა ერთის აზრით, ერთის სურვილით ერთის ადამიანის გარშემო. ბევრიც უთხარით ხან ეზოპისა და ხან სიმბოლიურის, თუ გნებავთ ბუნდოვანის, ენით.

მაგრამ **რა ვაკეთეთ** იმ ადამიანის სასიამოვნოდ, იმ ადამიანის სადიდებლად, რომელიც ორმოცდაათის წლის განმავლობაში მუდამ დღე გვეუბნებოდა—ჩემს ჩანგს ეშხით არ უჟღერია, რადგან ვიცი სატრფო ჩემი მკვდარიაო? არაფერი, სრულიად არაფერი! მთელ საქართველოს ყოველი კუთხიდან იყვნენ წარმომადგენლები, ფსიხოლოგიური მომენტ საუკეთესო იყო ჩვენი საერთო, სავალალო მდგომარეობის გამოსარკვევად, და ჩვენ კი დავიშალეთ უნაყოფოდ, უშედეგოდ, უშინაარსოდ.

ჩვენი ეკონომიური დაქვეითება, ჩვენი მწარ-ლობის დაცემა, ჩვენი ხასიათის დაქუცმაცება, ზო-

*) ამ წერილის დაბეჭდვამ, სამწუხაროდ, დაიგვიანა.

გჯერ ჩვენი ფიზიკური ავათმყოფობანიც კი ერთადერთი მიზეზის ბრალია, ერთად ერთის უკულმართობის, და თუ ვისმე აინტერესებს მეცნიერება, ხელოვნება, ხალხის ეკონომიური, ზნეობრივი თუ ფიზიკური განვითარება ამ მიზეზის აღმოფხვრას უნდა მოანდომოს **ჯერ-ჯერობით** მთელი თავისი ძალა. ბიორნე, გამოჩენილი გერმანიის პუბლიცისტი, ამბობს სადღაც, მე ჩემის სამშობლოს ავათმყოფობით ვარ ავათო... მორჩება ის, და მეც მოვრჩებიო, განა ყოველი ჩვენგანი არ განიცდის სხვა და სხვა ძლიერებითა და სხვა და სხვა სიღრმავით ამავე ავადმყოფობას? ჰაი, ჰაი რომ განიცდის. სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებს ბ. ჯავახიშვილი, რომ არც ერთს ერს არ აქვს ისეთი სევდიანი სახე, როგორც ქართველ ერსაო. სახის დასევდიანებაში „ბედი ქართლისა“ იყო დანაშაული. შეხედეთ თვით განცხრომისა და სიამოვნების დროს, რა მწუხარებით სავსეა ქართველ ახალგაზდას სახეც კი... აღარ კმარა?! ჩემს ნათქვამს ბევრი ამბობს, ყველას კი გულში იგივე აზრი აქვს, მაგრამ, როცა დროს ვიშოვით, პატარა საქმის, სულ პატარა სამზადისის დაწყების მაგიერ, ერთმანერთის ქებას ვუნდებით, და უკეთესს მომავალს მოველით გულხელ დაკრეფილი. სანამდის, როდემდის? აი აკაკის იუბილეის შემდეგ გამართულ ბანკეტზე პატარა წრე მაინც დაგვეარსებინა, აკაკის სახელობაზე, რომელსაც მიზნათ ექნებოდა დასთა და ჯგუფთა შორის **ერთის** რომელიმე **საკითხის შესახებ** შესაძლებელის ერსულოვანების დამყარებისა. მაგრამ არა... ეს შეუძლებლად მიაჩნიათ და ლაპარაკი კი, ლაპარაკი... ზრთლაც რომ დაუთავებელი შეიძლება, მით უმეტეს ერთმანერთის ქება. არსად არც წამიკითხავს და არც გამიგონია (იმერელი ვარ, და აბა უხამსო ქებით ჩემი გაკვირვება ძნელი უნდა იყოს!) ისეთი აღვირ-წახსნილი ქება, როგორიც ჩვენს ინტელინგენციაში არის გამეფებული. პატარა წრეს რომ ნახავ ინტელლიგენტთა მათი სიტყვების მიხედვით გეგონება,—აქაა „უკვდავთა აკადემიაო“. ეს კიდევ რაღა შავი ჭირია? ესეც „ნესტანის“ უბედურების ნაყოფია—არ გვაქვს ადგილი, არ გვაქვს შეძლება ჩვენ ჩვენი პატარა თუ დიდი ნიჭი და ცოდნა გამოვიყენოთ, და ვატლიკინებთ (მომიტევეთ მდაბიური პროვინციალიზმი!) ენას, ენას ვიფხანთ. ესეც ხასიათის დაქვეითებას აღნიშნავს. ესეც ერთი გზათაგანია, რომელსაც რომში უნდა მივყავდეთ! ყოველ შემთხვევაში ასე უფერულად დაბოლოვება აკაკის იუბილეს, აკაკის, რომელსაც სრული უფლება აქვს თავის თავზე სთქვას ჰეინეს სიტყვები: „მე ვიყავ ცეცხლი, მე ვიყავ ხრმალი“ მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს ქართველ ინტელლიგენციას, და თუ გნებავთ, ხალხსაც.

* * *

ყოველგან თეატრის გახსნა სანატრელ, სასიამოვნო დღესასწაულს წარმოადგენს. ჩვენთვის კი თეატრი უკანასკნელი ნავთსაყუდელია, სადაც **ჯერ** კიდევ დაუბრკოლებლად გვესმის მშობლიური ენა. ეკლესია, ღვთის ვედრება მშობლიურ ენაზე წაგვართვეს; სკოლა, მეცნიერება—წაგვართვეს; დაწესებულებებში, საალებ მიმცემო დაწესებულებებშიაც კი არ შეიძლება დედა ენაზე საქმე მოაგვაროთ... დარჩა ერთად ერთი ადგილი—თეატრი... იქ მარტო ხელოვნება კი არ არის, იქ მარტო ხელოვნებას კი არ ვეძებთ... იქ მივდივართ რომ ერთხელ მაინც მოვიგონოთ წმინდა ქართული, ვიგრძნოთ ქართული ატმოსფერა..

მაგრამ ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულო თითქოს განგებ ეცადა აქაც ჩაესხა შხამი, აქაც მოეკლა იმედი!

მარტო საწვევი ბარათები რათ ღირდა! ქართული დაწესებულება ქართულ თეატრსა ხსნის, ქართველ საზოგადოებას იწვევს და საწვევ ბარათებს კი უცხო ენაზე აგზავნის ეს რაღაც დაცინვაა. თუ ზოგიერთმა სტუმარმა არ იცოდა ქართული, განა მათთვის არ შეიძლებოდა განსაკუთრებული წერილების დაბეჭდვა, ან დაწერა? სტუმრების პატივისცემით, ვინ ჰყო უარი ოჯახის ჩვეულებაზე, ვინ დაიწყო სხვა ღვთის ლოცვა, ვინ შესცვალა დედა-ენა?! მესმის კიდევ, როცა სტუმარი ოჯახშია, იმ ენაზე იბაასოთ, რომელიც სტუმარს ესმის, მაგრამ სამზადისის დროს თქვენ რათ უნდა დაივიწყოთ თქვენივე ენა? სტუმარი თუ ზრდილია, ეცდება ორიოდე სიტყვა მაინც გაიგოს თქვენის ენის. ჩვენ კი ასეთს მიდრეკილებას ვერც ერთს სტუმარს ვერ ვამჩნევთ, და უზრდელობათ ვერავინ ჩამოგვართმევს, თუ არც ჩვენ ვეცდებით მათთვის გასაგებ ენაზე ვილაპარაკოთ! ეხლა ერთს კუთხესაც ვეღარ ვნახავთ, სადაც სტუმრები არ დაბანაკებულიყვნენ, და თუ ჩვეულებრივ ზრდილობას გავყევით, თქვენი მტერია, ქართულად კრინტსაც ვერ დავძრავთ!

თუ ასეთი ზრდილობიანი ვართ, არ სჯობდა წერილის სიტყვები ზრდილობიანათ აგვეწყო. რას ნიშნავდა ულაზათო წინადადება ზოგიერთ საწვევ ბარათზე „Не ближе 11 ряда“? ბარათზე უნდა იყოს აღნიშნული ადგილი, მაგრამ ბილეთის პატრონს აზრათაც არ უნდა მოუვიდეს, რომ დამპატიჟებელისთვის მე ღირსი არ ვარ რომელიმე უკეთეს

ადგილისა. ეს „не ближе" კი ძალა უნებურად აფიქრებინებს წერილის მიმღებს, უფრო კარგის ადგილის ღირსად არ მრაცვხვენო.

თეატრის სხვა და სხვა ზედ-წარწერებიც ყველა უცხო ენაზეა. რატომ? რისთვის? ნუ თუ მთელს თფილისს ერთი სახლი არ უნდა ქონდეს, რომელსაც ეტყობოდეს ქართული ელფერი? რა დააშავა ქართულმა რომ ასეთის ერთსულოვანებით ყველა ვერეკებით სამზარეულოსაკენ და გამოსაჩენ ადგილებიდან კი ვდევნით? ვინ დაგვიშლიდა, ვინ გაგვიჯავრდებოდა, რომ კედლებს სწერებოდა „შემოსასვლელი" „გასასვლელი" და სხვა... შეხედეთ სომხებს... პატარა მაღაზიებს, დუქნებს უკვე სომხურად აწერენ... ჩვენ კი, აბა მიჩვენეთ მთელს ქალაქში ქართული ზედ წარწერა.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ვისთვის ხსნიდენ ქართულ თეატრს? მე მგონია ქართველობისთვის. თუ ჯერ-ჯერობით თეატრი იავორსკის ქალს აქვს დათმობილი მხოლოდ სიღარიბის გამო. მაშ, ახალი თეატრის განვითარებისათვის საჭირო იყო იგი შეეხალისებინათ, შეეყვარებინებინათ იმათთვის, ვინც გვინდა რომ მუდმივ დაიარებოდეს თეატრში. სად იყო ქართველი ვაჭრობა, სად იყვნენ მუშები, ჩვენი ახალი თაობა, ხელ-მოკლე ქართველი მოხელენი, — ეს ქართული თეატრის მარჩენელნი და ბუნებრივი სტუმრები? ორ-ორ კაცს თუ დაინახავდ-ო მათგან თითქოს აქ გამოსაფენათ მოუყვანიათო. მაგიერად რაც ტფილისში სტატისკის სოვეტნიკებიდან დაწყებული მოხელეებია შეეყარათ... გეკუბას არაფრად ვენაღვლებით, — ჩვენ კი თვალში ვეჩრებით, მაშინაც კი, როცა არ გვეძახიან.

თეატრი მოხდენილია. უფრო ლაზათიანი იქნებოდა, რომ მეორე იარუსის (ბელ-ეტაჟის) ლოჟები ცოტა დაბლა იყოს, თორემ ეხლა ლოჟები ქანდარას წააგავს. განათება კარგია. კანდელები ძლიერ ლამაზია. ფარდაც ორგინალურია.

თეატრის გახსნის დროს პოპური, მაზურკიდან და ვალსიდან შემდგარი, გვაკვირვებდა. ასეთი მუსიკა ყავახანას შეეფერება და არა თეატრს.

ფარდა აიწია. მოკლე ისტორიას გადმოგვცემს ლექტორი... მოკლე ისტორიას ქართული თეატრისას... რუსულად.... მოგვწყინდა ამაზე ლაპარაკი. კარგი წაიკითხეთ რუსულად, მაგრამ მიზანი მაინც დაისახეთ შესაფერი. შეკრებილი იყო მთელი მოხელეთა ჯარი.

იმათ ჩვენი თეატრის ისტორია იციან თუ არა ჩვენთვის სულ ერთია. ხოლო მათთვის რომ აეხსნა და საბუთებით დაემტკიცებია ლექტორს, თუ რა გონებრივი მოძრაობა იყო მე-XVIII საუკუნეში საქართველოში, თუ როგორ ვეწაფებოდით ევროპულ განათლებას, როცა ჩვენ რუსეთს მფარველობა ვთხოვეთ, და მოულოდნელად ყმებათ გავხდით, დიდს სამსახურს გაგვიწევდა. ამ მოხელეებს ველურები ვგონივართ და ველურად გვეპყრობიან; — იქნებ ოდნავ შეწითლებულიყვნენ, როცა გაიგებდენ, რომ მე-XVIII საუკუნის ჩვენი კულტურა არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის მაშინდელ კულტურას.

ამ აზრის დამტკიცების მაგიერ ჩვენ ისეთი პიესით გაუმასპინძლდით სტუმრებს, რომ მართლაც დავამტკიცეთ არა მარტო სიველურე ქართველი მდაბიო ხალხის, არამედ გემოვნების უქონლობა ინტელიგენციის მიერ. განა არა აქვთ უფლება უცხო პირებმა სთქვან: რათ უნდათ ამ მხეცებს თეატრი, როცა უდიდესის დღისათვისაც კი ვერ მოუნახავთ უკეთესი პიესა, ვიდრე გინებისა, მთვრალობისა და ღრიალისაგან შემდგარიო.

ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით ფილარმონიული საზოგადოების ხოროს ჩვეულებრივ მწყობრად იმღერა.

ბ. ნატრაძემ თავისი კანტატით სრულიად ჩააქვავა დღესასწაული. იქნებ მუსიკალური ნაწარმოები მშვენიერიც იყოს, მაგრამ აქ ჩვენ უფრო გვაინტერესებს, თუ როგორ ეპყრობა ბ. ნატრაძე და დრამატული საზოგადოება თავის მოვალეობას. ბ. ნატრაძე ბედავს და დრამატიული საზოგადოება ნებას რთავს გამოვიდეს ხორო, და რა გასაკვირველია, რომ ხოროს ვერ შეუწყო ხმა ორკესტრს, აირ-დაირიენ...

პაწია ბავშვს მაინც მივბაძოთ. როგორ დაკვირვებით იწყებს ბავშვი პირველად სიარულს, როგორ ცდილობს ბალღი თანასწორობა დაიცვას, მოკლედ აბიჯებს, ფართოდ ადგამს ფეხებს, ხელებს ატორტმანებს ჰაერში... ჩვენ კი ჩვენს სახელსა და ჩვენს ნაწარმოებსაც კი ვაგდებთ საფრთხეში...

* * *

B—moll, C—dur... არ ვიცი რას ნიშნავს კონტრ-ალტს, სოპრანოს, ტენორს, დამიჯერეთ, ერთმანერთში ურევ საარაკოთ.

Do, re, mi... რომელითაც გნებავთ იმით იმღერეთ — ოღონდ, რომ იმღერით დამივიწყეთ ეს ქვეყანა, აღმიძარით გაუგებარი, შეუგნებელი სიამოვნება, ტკბილი ოცნება, ერთის სიტყვით, დამატკბეთ.

ასე ბჭობს ყოველი მსმენელი. სპეციალისტებმა მხოლოდ გაზომა იციან, თუ რითი მოახერხა მომღერალმა თავისი დანიშნულების აღსრულება.

მაგრამ ძველი საზომი ხშირად ვერ ასრულებს

თავის დანიშნულებას; გასაზომი საგანი სხვა სიდიდის სხვა კათეგორიის ჩნდება ზოგჯერ ვიდრე მიგვიჩვევია ყური... და დიდებულს მუზიკანტს, მსმენელთა დამტკბობელსა, უხირდებიან სპეციალისტები.

ასე დაემართა **ჩვენს ხმის გენიოსს** ბ. სარაჯიშვილს. ეს ხმის გენიოსი კიდევ რაღააო, მკითხავს განცვიფრებული მკითხველი.

ყოველი საშუალო მომღერალი გადმოგცემსთ თავის გულის ვითარებას და თქვენშიაც გამოიწვევს თანაგრძნობას.

მომღერალი კი, რომელიც მოახერხებს არა თუ თანაგრძნობა გამოიწვიოს, არამედ მსმენელს არგძნობინოს, გამოაცდევინოს სხვა და სხვა მდგომარეობა სულისა—გენოსია.

ხმა არ აქვს დამდგარიო, პატარა ხმა აქვსო გაისმოდა სპეციალისტთა ჯგუფებში. ერთი სასაცილო მსჯელობაც კი გავიგონე, ამტკიცებდენ სარაჯიშვილის ხმის უმნიშვნელობას, ხმის სიპატარავით. შესადარებლად მოყავდათ ვიღაც მომღერალი, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მატარებლის საყვირისთვის გადაეჭარბნა.

ის კი არ უნდათ გაიგონ, რომ ასეთი მოქმედება არტისტის მხოლოდ თავისებური ოხუნჯობაა, ხუმრობაა, და არაფერი საერთოა არ აქვს ხელოვნებასთან. ასე მათემათიკოსები ხანდახან ამტკიცებენ ორი არაფერს უდრისო (2—0) და ამაში არავინ არ პოულობს მათემათიკოს..

ხმის სიმაღლეზე რომ იყოს საქმე, ჩვენი ზღაპრული ყარამანი („ყარამანიანი") უდიდესს მომღერალით უნდა ჩავთვალოთ, რადგან, როგორც რომანი გადმოგვცემს, ერთი მისი ყვირილით ხალხი იხოცებოდა.

ჩვენ კი, უბრალო მომაკვდავნი ვტკბებოდით. სარაჯიშვილის მოსმენის შემდეგ შევიგნე მხოლოდ პოეტის სიტყვები „ხმები დნება, ვით ამბორი." რაღაცა ესალმუნებოდა სმენას, ვიღაც მიჯნურის უცნობ კაეშანს გიშლიდათ ისეთის ძალით, რომ მზათ იყავით დახმარებოდით საყვარლის მოსატაცებლად („მარგალიტის მაძიებელნი,") ცხოვრების მთელ მიმზიდველობას გაგრძნობინებდათ („ტრავიატა") და უდარდელ ყმაწვილობას მოგაგონებდათ („რიგოლეტტო").

ბ. სარაჯიშვილი ხმის გენიოსია, და როგორც გენიოსი საწყენი იქნება, რომ მხოლოდ ჩვეულებრივი სვე-ბედით დაკმაყოფილდეს.

აკაკიმ და ილიამ შექმნეს ქართული მწერლობა მე-XIX საუკუნის, შედარებით მათთან ბევრად უფრო მდარე ნიჭის პატრონმა გ. ერისთავმა შექმნა ქართული დრამა. ბ სარაჯიშვილს არა ნაკლები ბედი არგუნა დროთა ბრუნვამ. მას შეუძლია შექმნა ქართულის ოპერისა. ოპერას, მუსიკას ქმნის არა მარტო მწერალი, კომპოზიტორი არამედ უფრო მეტად მომღერალი, რადგან მომღერალს შეუძლია შეაყვაროს საზოგადოებას ბგერათა ამფლობელო. უცხოეთში შეიძლება ბ. სარაჯიშვილს ყველაფერი მოელოდეს, რაც **თვალს** უხიბლავს ადამიანს, მაგრამ ჩვენში ის არის, რაც **გულსა** ღრმად ხვდება. ჩვენს ნაზს ბუნებას, ლურჯს ცას, აბიბინებულ მთავეთა სარაჯიშვილის ხავერდისებური ხმა შეუქმნია, და მისი მომღერალი უნდა დარჩეს ხმით მხატვარი. ასეთი რჩევა არ არის მიღებული, მაგრამ გულის სიღრმიდან აღმოხდენილი კადნიერებად არ ჩაითვლება.

ნ. ლორთქიფანიძე

აკაკის

სალამსა გიძღვნით გულ-წრფელად
ჩვენო ძვირფასო მამაო,
გავბედე კალმის აღება
გამოუცდელმა ქალმაო.

ორმოც და ათ წელს იშრომეთ,
გადაიხადეთ ვალიო,
გაგვაგებიე რა არის
ქართველი დედის ვალიო.

ვეამბორები ოქვენს ხელებს
მამაშვილური ტრფობითა.
და შევსთხოვ ქვეყნის მეუფეს
გულ-წრფელად წმინდის გრძნობითა:

ღმერთო, აკაკი გვიცოცხლე,
მიეცი ძალი ღონეო,
მისი ფანდურის ტკბილი ხმა
კვლავ დიდხანს გაგვაგონეო.

სალამსა გიძღვნი თავდაბლად
ჩვენო ძვიფასო მამაო.
„ქართველ ქალობას" შეგპირდა
ჯერ კიდევ ნორჩმა ქალმაო.

სოფიო გოგონა

ჩემი შენიშვნები

V

ქართველები ყველა კავკასიელებზე განუვითარებელნია თურმე.

„ქართველები საზოგადოდ ნაკლებ განვითარებულნია, ვიდრე დანაშთენი სხვა კავკასიელები“.

ასრე სწერს გამოჩენილი ელიზე რეკლიუ თავისს „ქვეყანა და ერნის“ მე-VI ტომში.

ვინ არ გვიგდებს აბუჩად დღეს ჩვენ, ვინ არ გვწეწავს, გვამწარებს?

ერნი, ბერნი, მეცნიერნი და უმეცარნი თითქო მწყობრად გაფიცულან—უარჰყონ ის წმიდათა წმიდა, რომელზედაც დამყარებულიყო საქართველო, უარჰყონ თვით საქართველოც, რომელიც თურმე აქ (ამეერთ-იმერეთში) კი არ ყოფილა და არც არის, არამედ შორს აქედგან, სპერის ზღვის სამხრეთით. (ამ კითხვას კვლავაც დავუბრუნდებით).

იყო დრო, როდესაც ქართველის სახელიც ჰქუხდა აზიაში, როდესაც ეგვიპტის და მცირე-აზიის სულთნები ქართველ ერსა და მისს მეფეებს ქრისტეს მოსაგრეულ სთვლიდნენ, იერუსალიმის და აღმოსავლეთის წვრილ ერების მოსარჩლედ და მცველ-მფარველად სახავდნენ, ასურთა მეფეების საქმის გამგრძობად და სულთანთა გულით სანდომ მეგობრად აღიარებდნენ და მაჰმადიანობა კი ყველაზე ულმობელ მტარვალს თემურლენგს უმაღლეს ჯილდოთი—ყაზავათით ჰმოსავდა მხოლოდ მისთვის, რომ შესძლო ქართველ მეფის დამორჩილება...

იმ დროსაც კი, როდესაც საქართველო ის აღარ იყო, რაც წინად, მაინც პატარა კახის სახელს მოწიწებით იხსენიებდნენ ოსმალეთის სულთანი და აგრეთვე მეფე პრუსიისა ფრიდრიხი, თვით საქართველო კი ამავე დროს მოგზაურ დელაპორტს იმისთანა სახელმწიფოთ მიაჩნდა, საცა:

„ერი უუტკბილესად ცხოვრობს და ისიც მცირე საზდოთი, საცა უხვია პური, ბოსტნეული, ხილი, მეტად გემრიელია ღვინო, პური, ღორის და ნადირის ხორცი, საცა ქალი და ვაჟი უულამაზესია, მეტადრე ქალი; კახური ხომ ფრანგულ „პონტაკს“ არ ჩამოუვარდება...“

ამავე დროს, წარმოიდგინეთ, გურიაში არ იცოდნენ, რა იყო ქურდობა, შინაური პირუტყვი მინდორ-ველზე უმწყემსოდ სძოვდა, ხოლო კახეთში შეეხვდებოდათ ადგილები, საცა მდაბიოსაც კი, ხშირად, 500—600—900 სული ღორი ჰყვანდა (ვახუშტი).

კიეინისა მერიდება, თორემ ვიტყოდი, რომ ქართველობაში ქურდობა და ავკაცობა იშვიათი იყო ამ 25—30 წლამდიხაც. ალაზანს რომ გამოსცილდებოდი, სამშვიდობოში გრძნობდი თავს, თუ გინდ დაიძინებდი ეტლზე და მოდიოდი ქალაქისკენ უდარდელად: ერთი ქაზიყელი და სხვა კახელი ხელს არ გახლებდა. შიში იყო მხოლოდ მუღანლოს თათრის მხრივ.

მინა პეტრიაშვილის პანსიონში რომ გახლდით ქუთაისს (1875 წელს), იქ არ იცოდნენ, რა იყო ალაყაფის კარები, დარაბები. დღე და ღამ კარ-ფანჯრები ღია რჩებოდა ზაფხულობით და ქურდის შიში არავის ჰქონდა ამ ტურფა ქალაქში.

ეს შეუნიშნავს თვით ელიზესაც, რომელიც ამბობს: „ქურდობა—ეს ბიწიერება თითქმის უცნობია ქართველთა შორის და სომხებშიაც, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოში. ტფილისის სასამართლოს დაწესებულებებში შედარებით ფრიად იშვიათად შედის საჩივარი ქურდობაზე და ამისთანა შემთხვევებში ადგილობრივი მკვიდრი ყველაზე იშვიათად ჩნდება დამნაშავედ“ (გვ. 154).

კარგია ეს კითხვა გამოარკვიონ ჩვენმა მოსამართლეებმა, რომელთა საყურადღებოდ შემიძლიან დავურთო კიდევ სიტყვა ერთის სომხის სანდო ისტორიკოსისა, რომელიც ამბობს, რომ თამარ მეფის მშობელმა გიორგიმ საქართველოში ამოაგდოო ქურდობა-ავაზაკობა.

რა დაგვემართა დღეს, რათ ვიტეხავთ რაინდ ერის სახელს სხვა და სხვა უმანკო სულთა ხოცვა-ყლეტით, ქურდობა-ავკაცობით?

რა დაგვემართა?

მაგრამ გავყვეთ ელიზეს და მის თხზულებიდამ ამოვკრიბოთ წინა-უხმო აზრები ჩვენ შესახებ, აზრები, რომელნიც ამოუღია მას სხვა და სხვა, ხშირად, საეჭო ღირსების, წიგნებიდამ.

„მტკვარი—რიო ინგური და ჭოროხი ქართველების სამკვიდროა; მტკვარი—ტრაპიზონი, იალბუზი—არეზი,—ეს საფრანგეთის ტოლა სივრცე ქართველების მიწაა.

„ქართველებს ჰქონდათ თავისი ძლიერების ხანა. აღმაშენებლისა და თამარის დროს ქართველები უფლებდნენ კავკასიას ყველა ხალხებზე. თამარის სახელი შავი ზღვიდგან კასპიისამდე სახსოვარი გახდა და არის.

„ქართული ენა ისმის ტრაპიზონიდგან ტფილისამდე. ენის ერთობას ხელსუწყობდა მწერლობა, რომელიც არსებობს არა უგვიანეს მე-X საუკუნისა.

„1807 წლიდგან ქართული არქივები და ფასიანი სამწერლო ნაშთები ტფილისიდგან პეტერბურღს გადიტანეს. ქართული ენის მაგიერ შემოვიდა დამმონებლების ენა. ცენტრალიზაციის გულისთვის მიღებულმა უმწვერვალეს ზომებმა შეაჩერეს განვითარება ქართულ ენისა. ეს ენა დამოუკიდებელ განმარტოებით მდგომარე ენად ითვლება.

„ქართველები მიუხედავათ თავის წყნარ ხასიათისა მედგრად ებრძოდნენ ოსმალებს და სპარსელებს თავიანთ დამოუკიდებლობისთვის.

„ბიზანტიური ხუროთმოძღვრება X—XII საუკუნოებში განსაკუთრებული ხასიათისა შეიქმნა საქართველოში

„სახლები ქართველობისა 2000 წლის განმავლობაში ერთნაირის ყაიდისაა—მიწურებია, ორმოები.

„ქართველები საზოგადოდ განთქმულნია სილამაზით. ტურფა თმიანები არიან, დიდრონ თვალებიანი, თეთრ კბილებიანი, ნაზ და წმინდა კანიანები, ტანწერწეტნი, პატარა და ძლიერ მკლავიანები. მაგრამ მათი თვალხედვა და ღიმი აზროვნებით მოფენილი არ არის.

„ქართველების უმეტესობას პირის კანი დაწითლებული აქვს—ღვინის ჭარბათ ხმარების გამო.

„მათი ღვინო—კახური კარგია, შეუძლია ტოლობა გაუწიოს დასავლეთის ღვინოებსა. რუმბებს და ტიკებს აკეთებენ ხარის და კამეჩის ტყავისაგან. ამ ტყავებს ხან და ხან ცრცხალ პირუტყვებს აძრობენ და ამ ბარბაროსულ გამოწყვლის შემდეგ ტყავებს ნავთს უსმენ, რის გამო ღვინოს უსიამოვნო სუნი ეძლევა.

„სოფლელები ღარიბები არიან. თითო ოჩნა ცხენი, დავარდნილი ძროხა და ცხვარი, რომლის მატყლი ნაბდისაგან არ გაირჩევა, ქართვლის ავლა-დიდებაა.

„1864 და 1866 წლებში ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ ბატონები გლეხებს დღესაც ისე ეპყრობიან, როგორც პირუტყვებს.

„ქართველების უმეტესობა წვირიანია და დაუდევარი, მაგიერ იგინი მხიარულნია, ერთურთს მიმყოლი, გულწრფელი.

„ქართველები საზოგადოდ ითვლებიან უფრო ნაკლებ განვითარებულად, ვიდრე სხვა კავკასიელნი. სკოლებში უცხო ენებისა და მეცნიერების შესწავლა-შეთვისებაში იგინი ჩამოუვარდებიან სომხებსა და თათრებს.

„ქურდობა—ეს ბიწიერება თითქმის უცნობია ქართველთა შორის და სომეხთა, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ.

„ქართულ ბარბაროსულ სასჯელებს რუსებმა მიუმატეს კიდევ კაცის დამამცირებელი სასჯელი—როზგი ანუ „რუსულათ გაროზგვა.“

„ქართველების უმთავრესი თვისება არის სიყვარული გალობისა და ცეკვისადმი. მაგრამ დიდი სამუსიკო ნიჭი არ აქვთ და არა მგონია, მათი ენა ხმა-ნარნარებისთვის შექმნილიყოს. მიუხედავად ამისა, ყველა ხელობისა და საქმისთვის ცალკე სიმღერა—გალობა აქვთ.

„ხევსურები და ფშავნი ჰგვანან წითელ კანიან და სხვა ველურ ბარბაროსებს აფრიკისას და ახალ-ქვეყნისას“...

აღარ განვაგრძობთ. წინასიტყვაობაში ელიზე ამბობს, ჩემის წიგნის კავკასიის განყოფილება გადაშინჯეს ი. მეუნარგიამ და ზეიდლიცმაო. თუ ეს მართალი ყოფილიყო, უეჭველია, მეუნარგია და ზეიდლიცი ტყუილს ქართველების შესახებ ამოფხვრიდნენ მსოფლიო გეოგრაფიის წიგნიდამ.

რა დასაჯერებელია, მეუნარგიამ არ იცოდეს, რომ: ქართველები ცოცხალ პირუტყვს ტყავს არ აძრობენ რუმბისთვის, ქართველები დანაშთენ კავკასიელებს არ დაუვარდებიან განვითარებით, ქართველების მწერლობა მე-X საუკუნეში არ დაწყებულა, ქართველების ენა რუსულ ენად არ შეცვლილა, ხევსურ-ფშავლები სულაც არა ჰგვანან ჰოტენტოტებს და სხ.

20 ოკტ. **მ. ჯანაშვილი.**

P. S. ამავე ავტორის მიერ 7 დეკემბერს გადმოცემული წერილი ივ. ჯავახიშვილის საპასუხოდ მალე დაიბეჭდება.

რედ.

ᲐᲞᲐᲞᲘᲡ

მგოსანო ჩაგრულ ერისა!
შენ გაგვინათლე ბნელია.
შენ გვიძღვებოდი ბელადათ
გზა გაგვიკაფე ძნელია.

თუმცა სიბერემ გიწია—
თმაი შეგექმნა ჭაღარა,
გმირებს კვლავ ეძებს, მტერთ აფრთხობს,
შენი დაფი და ნაღარა.

აბაშისპირელი

უადგილო სულგრძელობა

საკვირველი ამბავი ხდება! მას აქეთ, რაც განსვენებულ ილიას მკვლელებს სასამართლომ ღირსეული სასჯელი გადაუწყვიტა, ჩვენ გაზეთებში ხმა აიმაღლეს ზოგიერთა პატივცემულ პირთ და თხოულობენ მოხსენებულ გადაწყვეტილების გაუქმებასა. წინათაც, და მომეტებულად ამ უკანასკნელ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, ვინ მოსთვლის რამდენი უსამართლო განაჩენი დაუდგენიათ და შემდეგ აღსრულებაშიაც მოუყვანიათ. ამათ წინააღმდეგ არავის კრინტიც არ დაუძრამს და დღეს კი კაცთმოყვარეობისა და სულგრძელობის სახელით ხმა მაღლა იწყეს ქადაგება მიტევებისა. დამისახელეთ რომელ ერში, რომელ ქვეყანაში მომხდარა ესეთი ამბავი? ილიას სულმდაბალ მკვლელებს გადაუწყვიტეს შესაფერი სასჯელი და ეს გადაწყვეტილება მალე უნდა იქმნეს აღსრულებაში მოყვანილი. რათა?—იმათა, ჩემო ბატონო, რომ ილიას მკვლელები უბრალო ავაზაკები როდი არიან!.. ამათ მხოლოდ ერთი ადამიანის მკვლელობა კი არ ჩაიდინეს, არამედ—უპირველეს ყოვლისა, ერის, ქვეყნის საზიზღარი მოღალატენიც არიან. ხოლო მოღალატე ქვეყნისა უნდა უსათუოდ მოისპოს, უნდა გაჰქრეს დედა-მიწის ზურგიდან. ილიას წარსული და აწმყო, მისი დიდი ჭკუა-გონება, ილიას მაღალი ნიჭი და მისი ბწყინვალე, ნათელ-მოსილი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნის უძვირფასეს ნაწილს შეადგენდა! იგი მთელი ერის სულისა და გულის უწმინდესი საუნჯე იყო... და ეს ნაწილი ქვეყნისა, ეს წმიდათა-წმიდა ერისა უცებ მოსპეს, მოსტაცეს ქვეყანას და შავსა და ბნელ საფლავში სამარის ჭიებს მიუგდეს!.. ხომ ყველამ კარგათ ვიცით, რა ვაჟკაცობაც გამოიჩინეს მკვლელებმა იმ სავალალო წამებში!.. ხუთი, თუ ექვსი ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცი, თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი, ვერაგულად ჩაუსაფრდნენ უდაბურ ადგილას, მშიერი ნადირებივით ეცნენ უიარაღო მოხუცს და არა ერთისა და ორის, არამედ რამდენიმე მხეცური დაკვრით წუთი-სოფელს გამოასალმეს იგი... მგლები რომ დახვეოდნენ ილიას და იმათ მოეკლათ იგი, განა ვინმე დაზოგავდა ამ მგლებს ამოსაჟლეტად? ილიას მკვლელები მგლებზე უარესები არიან. რა ვუყოთ, რომ ამათ ოროლი ფეხი აქვთ და იმათ კი ოთხ-ოთხი!.. სულით ერთნი არიან და ამის გამო ორივე ჯგუფს ერთ ნაირის გრძნობით უნდა უცქეროდეთ. ქრისტიანობა მიტევების, სულგრძელობის და სიყვარულის

სასოება

სარწმუნოებაა, მაგრამ აქაც მიტევება ყველა დანაშაულისთვის როდია აღიარებული. სულის წმიდის მგმობელს ცოდვა არას დროს არ მიტევება. სწორეთ ასეთივე ცოდვაა სამშობლო ქვეყნის ღალატი. გარდა ამისა, არსაიდან არა სჩანს, რომ ილიას მკვლელები სინანულის გზას დასდგომოდნენ ან რაიმე წრფელ-გრძნობით აცხადებდნენ ამ სინანულსა. მაშ როგორ და რითი დაამტკიცებთ, რომ დღეს სიკვდილს გადარჩენილნი, ხვალ ბიუროკრატიული წყალობით სრულიად განთავისუფლებულნი, ხელახლა იარაღს არა სტაცებენ ხელსა და უკვე ნაცადი სიმხეცით არ დაეძგერებიან ახლა აკაკის, გოგებაშვილს, ხახახანაშვილს, ვაჟას და სხვათა?.. „ესენი ბრმა იარაღი იყვნენ სხვების ხელშიო!“ მერე, რა გნებავთ? ჩემის ფიქრით, ერთად-ერთი დასკვნა, რომელიც კი შეიძლება აქედან გამოვიყვანოთ, არის შემდეგი: უნდა ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება, ჩავიგდოთ როგორმე ხელში ის „სხვებიც“ და ამათზე უარესი დღე იმათ გაუთენოთ. მაგრამ მე სრულიად არა მჯერა მაგათი „ბრმა იარაღობა“. ამ სამი-ოთხი წლის წინად ერთმა ამათი ჯურის წყეულმა დაურიდებლად წარმოსთქვა: ჩვენ გადავწყვიტეთ ილიას მოკვლა, მავრამ ეს გადაწყვეტილება აღსრულებაში ვერ მოგვიყვანია, რადგან ევროპა-რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა გვეშინიანო... ეს აზრი ილიას იცნობს მხოლოდ როგორც დიდ პოეტს და არა როგორც გლეხი-ჭამია ფეოდალსაო. როდესაც ამის წინააღმდეგ ლაპარაკი ვიწყე, მის მთქმელს თვალები სისხლით აევსო, სახე გაუფითრდა და მეტის სიბრაზისაგან კანკალი დაიწყებინა. საზარელია, როდესაც განუვითარებელი გონება ერთ რომელსამე აზრს შეითვისებს! კრიტიკა ამის წინააღმდეგ კედელზე ცერცვის შეყრაა. რაკი ამ შეთვისებულ აზრზე უკეთესი ვერც კი წარმოუდგენია, ამიტომ იგი მართლა ყველაზე უაღრესი და ერთად-ერთი ჭეშმარიტება ჰგონია. როგორც შავი კლდის ლოდს, ისე ამისთანა ხეპრეს ვერსაიდან ვერ მოუვლი. რა იცით, ბატონებო, რომ ეგენი სწორედ ერთი შავი კლდის

ახალი წელიწადი

ლოდები არ არიან? რა იცით, რომ „გლეხი-ჭამია ფეოდალის“ მოკვლით ეგენი დღესაც არ ამაყობენ? არა! არა!.. დიდი ხანია თქმულა მაცხოვრისაგან: „ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტსა! უწმინდურის

ფეხებით გაჰქელვენ მას და შემდეგ, შეიძლება, თქვენსკენაც მოტრიალდნენ და დაგფლითონ თქვენც“. ვინც ფიქრობს, რომ ღორი, როგორც შინაური ცხოველი, სრულებითაც არ არის ასეთი მოსარიდებელი, ძლიერა სცდება... გადარეული ღორი ცოფიან მგელზედაც უარესია! „მკვლელების სისხლით ნუ შევბღალავთ ილიას საფლავსაო“! უშინაარსო ფრაზაა! ილიას საფლავი ისეთი სიწმინდეა, რომელსაც მაგათთანა ავაზაკების ბოროტი სისხლი დღის სავალზედაც ვერ მიეკარება! ბატონებო! თქვენ გნებავთ ილიას მკვლელებს სიცოცხლე შეუნარჩუნოთ? მერე რა ჯანაბისთვის გინდათ მაგათი საზარელი, წამებულის სისხლით შეთხუპნული სიცოცხლე? ეგენი მზესა და მთვარეს უცქეროდნენ და ილიას კი შავი მიწა გულზე ეყაროს და სამარის მატლები ჰხრავდნენ!! რაღა გვინდა ამაზე მეტი!.. ნეტავიღა ჩვენს ბედნიერებას!.. ერთი ის-ღა დაგვრჩენია, რომ ავიყვანოთ ეგენი ილიას საფლავთან, მაგათ ტაში დავაკვრევინოთ და ჩვენ კი ლეკური დაუაროთ!.. სწორედ რომ საკვირველი და სავალალოა ჩვენი უბადრუკობა! თქვენი ჭირიმე, ამას რაღა მომაგონებდა, რომ ამ მეოცე საუკუნის დამდეგ ნეტარხსენებული ლამანჩელი აზნაური კვალად გაცოცხლდებოდა, ეწვეოდა საქართველოს და აქ თბილისურ გაზეთების ფურცლებზე ძველებურად დაატრიალებდა თავის ძლევა მოსილ ფარხმალს.

ქართლოსიანი.

ერთობა

ვუძღვნი ახალთაობას.

ერთი ენა და გულისა ძგერა,
ერთი შრომა და ბრძოლისა ველი—
ნაქსოვი არის რამ ათასფერა,
საიდუმლო და გასაკვირველი.
ამ ნაქსოვითა შეერთებული
თუ არის ხალხი—ის არის ერი,
შექსოვილია გულთანა გული,
გასაგებია სუყველაფერი.

—

მაგრამ ხან და ხან ამოვარდება
ქარი—აოხრებს ნაქსოვსა ძვირსა,
ერის სახელი, მისი დიდება
დამარცხებული ემხობა ძირსა;
ლაშქარი მტრისა წამოაწვება
და ჰწყვეტს წმინდა ძაფს ცხენების ნალი,
ნაქსოვი იგი აქა-იქ სქდება
და წაიშლება ერთობის კვალი.

—

მაგრამ დრო გადის—დანგრეულ ქუჩებს
აღვიძებს შრომა... და ნაშთთა შორის
ძმა ძმასა ეძებს, ვით ტუჩი ტუჩებს
გაყრით დამწვარის მეგობრის ორის;
გულსა ხმა ესმის სევდის ჩუმისა,
ხმალს ეძებს ხელი ათრთოლებული...
და ძაფით უცხო აბრეშუმისა
ჰქსოვს განახლებას ეროვნულ სული.

გიორგი გვაზავა

ჩემი ლექსი

რა პატარაა ეს ჩემი ლექსი!
თვალით გამზომველს გაეცინება
და თავის ქნევით გვერდზე გადასდებს,
მისთვის წაკითხვად არ ეღირება.
მაგრამ უვიცსა და უგრძნობელსა
სხვა რა მოვთხოვო? არ გაეგება,
რომ დიდი სევდა, დიდი სიმწარე
პატარა ცრემლით გამოითქმება.

ი. მჭედლიშვილი

აქეთური იქითური

ამ ნომერში სხვათა შორის იბეჭდება ბ-ნი ქართლოსიანის წერილი „უადგილო სულგრძელობა“. წერილში ბევრი ფრიად საყურადღებო აზრია გატარებული. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც წინააღმდეკნი ვართ საზოგადოდ ვისიმე სიკვდილით დასჯისა და კერძოდ-კი ილიას მკვლელებისა.

სიკვდილით დასჯა სულაც არ არის მართლმსაჯულების უებარი სახსარი.

სიკვდილით დასჯა არაკაცური, არა ადამიანური აქტია და იგი უფრო ძველი ბარბაროსობის მწარე ნაშთია.

ს კვდილით დასჯამ მოსჭამა თავისი სამარცხვინო დრო და იგი ამ ჟამად ისეთივე უაზრო, ულოდიკო და უნაყოფოა, როგორც მონობა, ინკვიზიცია და წამება არა მარტო იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯა ქრისტიანულის-ადამიანურის გრძნობათა შამლახველი და შეურაცხმყოფელია, იგი პრაქტიკულად შეუსაბამო და თეორეტიულად უნაყოფოა, არამედ იმიტომაც რომ სიკვდრლით დასჯა ყოვლად უზნეო და გამყრყვნელ-გამათახსირებელი აქტი: თვით საზოგადოებისთვის.

ესეც არ იყოს, სიკვდილით დასჯა მაშინ როდესაც სიცოცხლეს უკვე არავითარი ფასი არა აქვს, როდესაც სიცოცხლე როგორც პირადი ისე სხვისი არარად შეიქმნა, ნეტა რა აზრი უნდა ჰქონდეს სიკვდილით დასჯას, რას ან ვის მიუტანს სარგებლობას ან ადამიანურს დაკმაყოფილებას?!.

კერძოდ კი ილიას მკვლელებისა სიკვდილით დასჯა შეურაცმყოფელი იქნება თვის დიდებული ილიას სახელისათვის, მისი სხივოსანი ღვაწლისათვის.

ჩვენ ერთს წუთსაც ეჭვი არ გვებადება, რომ ილია თავის მკვლელებს მაცხოვარსავით აპატიებდა და მისი ღვთაებ-

რივი გული და გონი მკვლელების სიკვდილს არ მოითხოვდა...

ჩვენ გვესმის ბ-ნი ქართლოსიანის მართებული გულის წყრომა და ღრმად აღშფოთებული სინიდისის ძგერა, მაგრამ მარტივი სათნოება და უბრალო გონიერება მკაფიოდ ითხოვენ, რომ ილიას მეხანიკური მკვლელები სიკვდილით არ დაისაჯონ მით უფრო როდესაც მისი იდეური მკვლელები თავისუფლად დათარეშობენ...

ადვილად შესაძლებელია და დიახაც მოსალოდნელია რომ ილიას მეხანიკურ მკვლელების სიკვდილით დასჯამ უგნურთა გრძნობა და ხროვაში უკუღმართი სურვილი დაბადოს: არამზადები ვაჟკაცობის და გმირობის შარავანდედით შემოსონ და არსად თქმული და არსად გაგონილი საზიზღრობა რევოლიუციონურის თავგანწირულობით მოინათღოს.

ილიას მკვლელობა უცაბედი და შემთხვევითი არ იყო, იგი ნელ-ნელა მზადდებოდა ჩვენში უკუღმართი მოძღვრების ზედგავლენით და ეს დუხჭირი ნიადაგი დღესაც არსებობს. თუმც ძრიელ შერყეული კია ამიტომ ვინ გვითავდებებს, რომ ამ დუხჭირ ნიადაგის ბინადრებში ტაშს არ დაუკვრენ, როცა საღრჩობელაზე დაინახავენ თავიანთ ჭაობის ქვემძრომთ.

გვეყოფა სისხლი!

ილიას წმინდა სისხლი დეე უკანასკნელი იყოს ჩვენში ძალმომრეობის წყალობით დანთხეული!..

* * *

ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა და მახედ გლოვამ, აკაკის ნიჭმა და მადლიანმა იუბილეემ საოცარი საარაკო თვით შეგნების და შემეცნებას რევოლიუცია მოახდინა ჩვენში. ამ ოთხი ხუთი წლის წინედ ყოველი ჩვენთაგანი სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდა იმ მთლიანობას, იმ დანაწილებულ და დაქუცმაცებულ ჯგუფთა შეკოწიწებას და შედუღებას, რომლის მოწამე და მნახველი მთელი საქართველო იყო 1907 წ. 30 აგვისტოდან 1908 წლის 7 დეკემბრამდე. ამ ხუთმეტიოდ თვეში ისე გაითქვიფა ყველა წრესა და წოდებაში ყველა კლასსა და ჯგუფში ეროვნული, სრულიად ქართველური აზრი, რომ ყველა სასოწარკვეთილთ, იმედ გაცუდებულთ და ცოცხალმკვდრებთაც კი გაუცხოველდა მძლავრი სურვილი არსებობისა...

აკაკის იუბილე რადაც ზღაპრული ალეგორია იყო ქართველთა განუყრელობისა და მთლიანობისა. ტფილისი, ქუთაისი, ბაქო, ბათომი და სხვანი ერთმანერთს ეცილებიან ეროვნულ-კულტურულ სახის გამომეტყველებაში... ჩვენი მეზობელი ხალხი-სომხობა და თათრობა ქართველების დღესასწაულს კავკასიის დღესასწაულს ეძახის და ამ გარემოებას განსაკუთრებულ ხაზს უსვამს თათრობა... ყოველ გვარ მიმართულების პრესა მთელი ორი კვირა მხოლოდ აკაკის იუბილეთ არიან გატაცებულნი... სდუმან მხოლოდ ცნობილ ძმათა ხაჩატურიანცების „შარმანკა“ Тиф. лис. და მისი „იუდუშკა“—ლევ. ყიფიანი... პირი სავსე აქვთ... და როცა ხმას იღებენ მხოლოდ ჩვეულებრივი ოინბაზობის ჩასადენად—პოეტის გასალანძღად, ჩვენი ეროვნული გრძნობათა შესაბღალად... დიდებულ აკაკის „გასტროლერს“ უწოდებენ. . სხვა და სხვა კუთხის ქართველებს „თამაშის“ მოტრფიალე ბრბოს!.. თავლაფდასხმულთა და გატლეკილთა.

ბოლო არ უჩანს ცრუ ორპირობას,
მაგრამ ეგეც კი, როდის ჰქონია
დასასრული რამ ხამთა ხამობას!..

არც ჩვენებური „პარტიზანები“ ჩამორჩენენ უკან უცნაურობასა და უზრდელ ქარაფშუტობაში „იუდუშკებს...“ პროლეტართა სახელით დავა და კამათი დაუწყეს იუბილიარს... განსაკუთრებით თავი იჩინა „ბაქოელულ პროლეტარმა“

დიდებული რამა ხარ აკაკი, მაგრამ შენს დიდებას ჩრდილავს „ნიშადურში“ თანამშრომელობაო... უტიფრობა და უზრდელობა უგუნურობის ნიადაგზე აღმოცენებული ამაზე შორს ვეღარ წავა. პროლეტარის ბოდვაში ერთი რამ არის სანუგეშო. სჩანს „ნიშადური“ ძალზე მოსცხებიათ და ბნელი სულის საძირკვლამდე ჩასწვდენიათ მისი სიმწვავე, თუ დღესაც ვერ დაუშუშებიათ დადღვილი და ამომწვარი ადგილები...

* * *

მეტად ცუდი დღე დაუყენა „სამხედრო პოლოყენიმ“ „ნიშადურს“ და მის მიმდევარ გაზეთებს: „ნიშადური“ ძლივს ძლივობით გამოვიდა 61 ნომერი, „საქართველო“ 11 ნომერი, ხოლო ახლად განზრახული და ნება დართული ჟურნალი „სამშობლო“ ჯერ გამოუსვლელადვე აღკრძალეს,—ესეიგი, შობიარობამდე ჩაჭკლეს და ჩააღრჩეს... რა გაეწყობა—ძალა აღმართსა ხნავს... ჩვენც იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ სამხედრო წესების ჩამოხსნის შემდეგ „ნიშადურიც“ გვექნება „საქართველოც“ და „სამშობლოც“, მანამ კი „ერთობაში“ მოვიკლათ ჟინი და ცოტათი მაინც სული მოვითქვათ.

* * *

ვერაფერი ერთობა სცოდნიათ ჩვენს რეცენზენტებს. ამ ორი კვირის წინეთ ქართულს... უკაცრაოდ ლიდია ივორსკის თეატრში წარმოდგენილ იყო ახალგაზდა მწერლის ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“. თვითონ პიესა და განსაკუთრებით მისი შესრულება—წარმოდგენა ძრიელ მოეწონა საზოგადოებას, რომელიც, სამწუხაროდ, ცოტა დაესწრო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი ცხოვრების ვეთვალყურენი-ადგილობრივი ჟურნალ გაზეთების კრიტიკოსნი რეცენზენტნი in korpore დაესწრენ ამ საინტერესო წარმოდგენას და ოთხმა ორგანომ თავისივე წარმომადგენლების პირით ოთხი სულ სხვა და სხვა დიამეტრულად ერთმანერთის წინააღმდეგი აზრი გამოახოხორიკეს... სასაცილოა ყოველივე ესა, სამწუხაროც რომ არ იყოს.

„დროება“ პიესას უბრალო მელოდრამას უწოდებს... „ალი“ პიესას სიყვარულის ალეგორიათა სთვლის, „Тиф. лист“. ნაფიცი რეცენზენტი ლევ. ყიფიანი პიესას არაფრად აღიარებს, ხოლო „Закав. обоз.“ მაღლა აყენებს და შესაფერ ადგილს უთმობს ქართულს რეპერტუარში...

დიახაც გასაგებია როცა სხვა და სხვა პირები, სხვა და სხვა თვალთახედვის ისარით დაბეცებულნი ერთიან შეთანხმებულ აზრს ვერ გამოსთქვამენ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და ამ შემთხვევაში დიდი ჭეშმარიტებაა ილია ჭავჭავაძის ნათქვამი—„ერთი და იგივე საგანი ზოგისათვის სატირალია და ზოგისათვის სასაცილოა“, მაგრამ შეუძლებელია ისეთი ბაბილონისებური სხვა და სხვაობა სჯისა და დაფასებისა, როგორიც გამოიჩინეს ჩვენებურმა რეცენზენტებმა ნ. შიუკაშვილის პიესის შესახებ.

ჩვენის აზრით „მეგობრობა“ როგორც ხელოვნური ნაწარმოები დიახაც ფრიად საყურადღებოა თავის ნიჭიერების

ნიშან წყლით, სინამდვილით და რეალიზმით. ახალგაზდა ავტორში აშკარად და ნათლად სჩანს ნიჭიც, დაკვირვებაც, ცხოვრების ცოდნაც და გვმოვნების გრძნობაც. ავტორს თვალყურიც მახვილი აქვს და გონებაც ფხიზელი. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, ნ. შიუკაშვილის პირველს პიესას სხვა ბევრიც მოყვება იმიტომ რომ ახალგაზდა ავტორს ორი საუკეთესო თვისება მოეპოება მწერლისა ნახულ-გაგონილის აწონ-დაწონვა—შემუშავება და ამ შეუშავებულის ხელოვნურად გადმოცემის უნარი.

მერე როგორ შეეგებნენ ჩვენი რეცენზენტები ახალგაზდა მწერალს? ყოვლად უზრდელად ტლანქად და უგულოდ... მხოლოდ „Зак. обоз". რეცენზენტი სიყვარულით, გულწრფელობით და სიხარულით აღნიშნავს „მეგობრობას" ქართულ სცენაზე და ცოტათი „ალსაც" ეტყბილა ახალგაზრდა მწერლის დებიუტი, თორემ „დროება" და „Тиф. лис." ზევიდან ქვევით დასცქერიან; განსაკუთრებით „Т. лис." „იუდუშკა" ჩვეულებრივ ხამობას არ ღალატობს და სასაცილოდ არ ყოფნის პირველის ცდისა პირველი ნაბიჯი...

ეხლა შევადაროთ ერთმანერთს რეცენზენტების სიბრძნე მსახიობთა ხელოვნებას შესახებ. პირადად ჩვენ წინააღმდეგნი ვართ დახასებული და დრო მოჭმული ჩვეულებ სამსახიობთა დაფასებაზე—ნიშნების დასმა თამაშობისათვის: ზოგს ხუთს დაუსვამენ ხოლმე, ზოგს „ედინიცას" რა საჭიროა ეგ ნიშნები და თუ საჭიროა მაშინ იგი უსათუოდ მიუდგომელი და ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს, ვისიმე გამოკლებას და გამოთიშვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ კი რეცენზენტს გულწრფელობა და არა პირადი ღვარძლი ამეტყველებს ეს ერთი. მეორე სად არის გარანტია რომ რეცენზენტი არ სცდება ნიშნების დასმაში და როგორც ნიშნების დამსმელი მსახიობზე უფრო მაღლა სდგას ცოდნით, განვითარებით და მხატრულის გემოვნებ თ.

ამ შემთხვევაში ისევ „Зак. об." გამოიჩინა მიუდგომლობა დ. ობიეკტივობა, ხოლო დანარჩენებმა ფონი ვერ იპოვნეს და ისეთს მორევში შესტოპეს, სადაც უწინარეს ყოვლისა სიფაქიზე და მიუდგომლობა იღრჩობა ხოლმე. ასე მაგალითად: „Тиф. гист."-ში ლევ. ყიფიანს მსახიობთა შორის კ. მესხისა და მ. მდივნის მეტი ვერავინ დაუნახავს... ეგ რაღაც „ბუტერ-ბროტულ" რეცენზენტობას წააგავს. „დროებაში" კი კ. მესხზე კრინტიც არ არის დაძრული, თითქოს იგი სულაც არ ყოფილიყოს სცენაზე. თუმცა კ. მესხის პიესაში ერთ-ერთს მთავარ როლს თამაშობდა და საუცხოვოდ ჩაატარა იგი თავიდან ბოლომდე. „ალ ის" სიტვვით კ. მესხს როლი რომ სცოდნოდა თურმე საუცხოვო იქნებოდაო. რატომ სხვა რეცენზენტებმა ვერ შეამჩნიეს კ. მესხს როლის უცოდინარობა? ბრმები ყრუ ხომ არ იყვნენ?!...

ჩვენ შეგვეძლო კიდეე აუარებელი მაგალითები მოგვეყვანა ჩვენებურ რეცენზენტთა დამახასიათებელი, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

ერთს კი ვიტყვით, თუ თეატრი და მწერლობა შეთანხმებულის გულწრფელობით არ იმუშავებენ, თუ პირადობას და შენ ჩემობას და სხვა მრავალ ურიგობა-უსუფთაობას ჩვეულებრივ ადგილი ექნება ჩვენს პრესასა და სცენის შორის საქმეწინ ვერ წავა და ყოვლად ამაო იქნება თვალთ მაქცური ღაღადისი კულტურულ მუშაობაზე.

სკვითი

სალამი ახალ წელს

გაუმარჯოს ახალს წელს!
ისმის მებრძოლთ ყიჟინი,
გაუმარჯოს იდეას,
მტრებს კი... მწარე ქვითინი!

გაუმარჯოს განახლებულს
ენერგიას მაშვრალთა
და დამხობა, გაჭრობა
კაცთ-მჭამელთა, მტარვალთა!

გამარჯვება მომავალს!
წინ-მსვლელობა ჩაგრულებს,
ბნელ-უფსკრული ყვავ-ყორნებს,
ბაღ-წალკოტი ბულბულებს!

გაუმარჯოს ახალს წელს!
ისმის მებრძოლთ ყიჟინი:
მტარვალი ძრწის და შფოთავს
უმწარდება თან ლხინი...

თამრო ქალი

აკაკის დღე ბრიუსელში

საერო დღესასწაულს ბრუსელელი ქართველობაც შეურთდა და ჩვენი სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის იუბილეს დღეს 19-ს დეკემბ. (ახ. სტ.) პოეტის ორმოცდა ათი წლის თავის მოღვაწეობის პატივსაცემად ქართველ სტუდენტთა თაოსნობით ქართული სადამო გაიმართა. დადგმული იქმნა „უდანაშაულო დამნაშავე" ერთ მოქმედებიანი პიესა ბ. პ. ყ—ნისა. სანამ წარმოდგენა დაიწყობოდა პარლამენტის წევრმა სოციალისტმა ბ—ნმა ლორანმა საზოგადოებას მოკლედ გააცნო ქართველ ერის ვინაობა და მიზანი ამ საღამოს გამართვისა, რომ საქართველოს ერთან ერთად ჯგუფი სტუმარ ქართველებისა აქ ბრიუსელში დღესასწაულობს დიდებულ პოეტის აკაკი წერეთლის ორმოცდა ათი წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობას, რომელიც ღირს შესანიშნავია და პატივის საცემი, როგორც ქართველ ერისათვის ისე უცხოელთათვის, რადგან მან თავის უკვდავ კალმით კაცობრიობის აღორძინება-აყვავებას დიდი განძი შესძინა ამ ხნიხ განმავლობაშიო. შემდეგ წარმოადგინეს პიესა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ სიმპატიურ საქმეს ცოტა ადრე შესდგომოდნენ კარგი იქნებოდა, რადგან როლების უცოდინარო-

ბის გამო ასე ხელოვნურად ნაწარმოები პიესა მოიკოჭლებდა, მზადებას კი ერთი კვირით ადრე შეუდგნენ. ბ-ნ პ. ყ—ნს ამოღებული ჰქონდა ფაბულა საქართველოს რევოლიუციის ქარტეხილ ცხოვრებიდან. მეთაური (გ. ჯ—რი) რევოლიუციონერია და გატაცებული იბრძვის დახავსებლ თვითპყრობელობის დასანგრევად. არ ზოგავს იგი თავის უკანასკნელ ძალ-ღონეს და ამხედრებული ტერორის საშუალებით, პარიზელ რევოლიუციონერ მარატისავით ანადგურებს და დედამიწის პირიდან ჰგვის ბაში-ბუზუკებს. ის ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდება მოღალატებს და ამაგრებს, აფართოვებს ორგანიზაციებს. მისი მეუღლე ნინო (ნ. ერ—ისა) წინააღმდეგია ძალმომრეობის და ადამიანის მსხვერპლის და ბოლოს ისე ხდება, რომ იგი ბოლოს ატყობინებს კომიტეტის ყველა გარდაწყვეტილებას პოლიციას და ყველა მოწყობილ საქმეს წინ ეღობებიან. მთავრობა ჰპირდება ჯილდოს თუ გასცა მომქმედნი პირნი, მაგრამ ის უარზეა. შემდეგ ნინოს გაგიჟებით შეუყვარდება თავის ბიძაშვილი ვანო (ირ. ჯ-რი) და დაუწყებს ღალატს ქმარს. ვანოსაც შეუყვარდება ნინო და რა გაიგებს, რომ მთავრობასთანაც კავშირი აქვს, მუდამ სცდილობს, გამოსწორებს, მაგრამ ამაოდ: იქვით შეპყრობილნი, რომ მოღალატეობას ვანო გვიწერსო, სიკვდილით დასჯას უწყვეტენ. გასამართლების დროს ვანო არ სცნობს თა ს დამნაშავედ და არც გასთქვამს თავის სატრფო ნინოს, მაგრამ მისი (გიორგის) მოსამსახურე თომა კი ეუბნევა: არაა დამნაშავე ვანო, არამედ ნინოა, ვანო ნინოს მაინც იფარავს. ბოლოს გიორგის ხელთ უვარდება ვანოსთან მიწერილი წერილი, სადაც ემუდარება, რომ არ დავაჭერინებ არავის, მაგრამ მაინც ვაცნობებ მათ გარდაწყვეტილებას პოლიციას, რადგან წინააღმდეგი ვარ! ისხლისაო. გიორგი რევოლვერით მოჰკლავს ნინოს და შემდეგ ჭკვაზეც შეცდება, ბოლოს მოდიან განსაჩივრებლად ნინოსთან, მაგრამ იგი მოკლული დაჰხვდებათ. ვანოს გაანთავისუფლებენ, მაგრამ სატრფოი დასჯილი, თვითვე ისჯავს თავს...

შემდეგ ირ. ჯაბადრის ლოტბარობით იმღერეს ქართული სიმღერები: ბრძოლა, ძმებო, ვოდელია, ნანა და ავარა, ეს უკანასკნელი ირ. ჯ-რის მიერ გადაკეთებული იყო და საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა. სიმღერების შემდეგ წარმოადგინეს ცოცხალი სურათები: სოფლიდან გახიზვნა, დედა და მისი პირმშო აკვანში, ქართველ ქალის თავის დაცვა ინკვიზიტორებისაგან და საქართველო. ალეგორიული სურათი, შემდეგ დაუკრა ორკესტრმა და ბალი ქართული ლეკურით გაიხსნა. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დილის ექვს საათზე დაიშალა. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნნი: პ. ყ-ნი და გ. ა. ჯ-რი, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს საღამოს გამართვაზე. ქართველობა ქ. მონსიდან და ლიეჟიდანაც იყვნენ ჩამოსულნი. წარმოდგენის დროს ყველას შესაფერი როლები ჰქონდათ განაწილებული და საღამოზე ქართველობა ქულაჯებში იყვნენ გამოწყობილნი. ყველა აღტაცებაში მოიყვანა პატარა შოთა ჯ-რმა, რომელიც ქულაჯაში გამოწყობილი წითელ დროშით, და მარსელიოზის სიმღერით მოტაცინე ენით გამოვიდა და გაბედულად ააფრიალა დროშა დამსწრე საზოგადოებაც ტაშის ცემით მიეგება.

ნელიკო.

ბრიუსელი 20 დეკ. (ახ. სტ.)

[ყარსი]
'26

* * *

ოხ ნეტა ვიყო ტკბილი ოცნება,
რომ ავიარო ვარსკვლავთ ზესკნელი,
სადაცა ჰყვავის უმანკოება,
სადაცა ჰყვავის სიცოცხლე გრძელი.
მინდა განვშორდე წუთი სოფელსა!
აქა ყვავილობს მხოლოდ ნაღველი
და თვით სიმართლეს ცხოველ მყოფელსა
ხანგრძლივათ ჰფარავს წყვდიადი ბნელი.

ი. მჭედლიშვილი.

მსურს დაგივიწყო!

მსურს დაგივიწყო, რომ ეგ სახე, სახე მაცდური,
აღარ ვიხილო, ჩემო სატრფოვ, აღარასოდეს,
მსურს ამა სოფლად ჩემი გული, ობლად შთენილი,
შენსა სიტურფეს ზეციურსა, —ვეღარ შესტრფოდეს.

* * *

მსურს დაგივიწყო, რომ ცბიერი შენი სიტყვები,
შხამ-გესლით სავსე, ცრუ იმედათ არ გავიგონო;
მსურს დაგივიწყო, რომ წარსული „ტკბილი“ დღეების
კვლავ მოგონებით არ მომწამლო.... არ დამიმონო.

* * *

მსურს დაგივიწყო, —დავამსხვრიო სევდის ბორკილი,
რომელიც მტანჯავს და ცრემლებს მგვრის ყველგან-ყოველთვის...
მაგრამ რა ვქნა, რომ უძლური ვარ, არა მაქვს ღონე
და ჩემი გული შენ გეკუთვნის,... შენკენ მოილტვის!..

ი. გრიშაშვილი.

მოხუცის ღიღინი

(კალცოვიდან)

აჰა, შევკმაზავ ჩემსა მერანსა,
შევარდენსავით გამოფრენილსა;
მსწრაფლ გარდავივლი მინდორ ველებსა,
გარდავცილდები უცხო ქვეყნებსა...
იქ დავეწევი ახალგაზრდობას
და ლამაზ ქალებს დავუწყებ ტრფობას!
მაგრამ ვაგლახმე! სულ ამაოა:
მზე დასავლეთით არა ამოვა...

ი. მჭედლიშვილი

აკაკის იუბილეზე

ს. დ. ზევსური

„ბუზნი“ ვართ ნეხვში შობილნი,
ჭუჭყის ნაზარდი, ფრიალა,
იქ უნდა გავჩნდეთ უთუოდ,
სადაც სდგას თაფლის ფიალა.

**

რა გვენაღვლება! მოვწუწნით
ფუტკრის ნაშრომსა ტკბილსასა,
ჩვენ საკუთრებად მოვნათლავთ
ნაამაგარსა სხვისასა.

**

ჩეხვის შვილი ვართ, ხომ ხედავ
და მამას მაინც გეძახით:
უთვისტომონი ვწანწალებთ
და სხვისას ჩვენსას ვეძახით.

**

სხვისი ნათესის მომკაში
ძალიან გამოცდილი ვართ:
ვინც თვის ნაშრომის ვარს გვეტყვის,
მისთვის ჟამი და სენი ვართ.

**

მამობილობა რომ გთხოვეთ,
შენ კალთას ვეფარებოდით,
ორივე ხელით გვიქშევდი,
სათოფედ გვემალებოდი!...

**

ხომ ხედავ – „შვილთა გაჯობეთ!“
ეს არის ქვეყნის წესია:
იქ ვიცით ნამგლის ტრიალი,
სად სხვისი პური სთესია.

**

გერმანიაში წანწალით
მარქსის ფინჩხები ავკრიფეთ;
სამშობლოს ცას ქვეშ მოველით
და ია ვარდი დავკრიფეთ!...

**

ვინც ჩვენს კატეხიზმს არ ირწმენს
„გალილეველნი“ გვგონია,
იმათი მოღვაწეობა
აბა რა მოსაგონია?!

**

მისთვის მოვაწყდით შენს ქორწილს
და შამოვძახეთ მაყრული,
რომ დავავიწყოთ სუყველას
სისხლ დანთხეული წარსული.

ნაცნობი

საახალწლო გოზინაყები

ლევ. ყიფიანს.—კოკასა შიგან რაცა სდგას
იგივე წარმოსდინდების,
უშუბლო კაცი ყოველთვის
პირასხეული დარჩების...

ს. ყარიბს.—მელა, ყარიბი, ჭკუით ღარიბი;
მეჭორე დიდი, ესდეკი ფლიდი.

ძმ. ხეჩატურიანცებს.—სომხის ბაზარს მოგვაგონებს
მათი ორგანოს ფურცლები,
ქართველების დასაწიხლად
ვირებს უპნიეს ფეხები...

ი. მეუნარგიას.—უტიფარი ჭორიკნობა
დიაღ მწარედ აშლის წყლულსა,
სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცსა მერე სულსა.

ჩვენებურ ესდეკებს.—დეჭეთ, ბლავგვეთ, ივაგლახეთ,
ვერ შეივსეთ კაპიტალი,
თქვენი საქმე და ნაღვაწი
ბოლოს გახდა მდორე წყალი...

ტფ. ჟურნ. სოიუზს.—„შეიყრებიან ყორნები
არ გაირევენ ძერასა“,
ჟურნალისტების სახელი
თქვენ ვერ გასწავლით წერასა!

ტფ. პატრ. საზოგ.—სხვის დასარბევად ნუ იღწვით
თორემ ინანებთ ბოლოსა,

იქნებ ტაროსი იცვალოს—
გრიგალმა დაიქროლოსა!

ან. ფურცელაძეს.—დიდებით გასიებულსა
ზიზიები აცვიაო,
ცოტათი რომ შეახჯდრიო
სწრაფად ყველა გასცვიცვაო.

Poor iorik, П. Павловичь-ს და სხვებს:

ხენატურას ფოდისათვის
„ლისტოკში“ მოიკალათეს,
საშვილიშვილოდ ეყოფათ
რაც მათ საქმე გააკეთეს!

„ეშმაკს“.—უხნავ უთესად მკელია,
ლანძღვა თრევაში ქველია,
სხვის გულში ხელის ფათურით
ოსტატი—ქვემძრომელია!..

მონადირე

საახალწლო ჩიჩალაკი

(ქუთათურებს)

ქალაქის დუმას

დაგრჩენიათ მხოლოდ ერთი,
სალორიის აგარაკი.
ყოველ ღამეს მის შეჭმაზედ,
უპრავას აქვს ლაპარაკი.

სათ. სააზ. ბანკს

უსაქმურთა ხალხის კრება,
საქმეს როგორ მოაგვარებს?
ყალბათ ფულებს გაიტანენ,
აცინებენ ამითი მტრებს.

შავი ქვის საბჭოს

არც ფულია, არცა ნდობა,
არსით რწმენა, არსით პირი.
ყველა მტრულად შემოგყურებს,
მოგიმატონ გასაჭირი.

ქუთათურ „ჯეილებს“

კარტი, ნარდი, არშიყობა,
დაგილოცათ მაღლით ზენამ.
თუ გინება არ გიძღვენით
ქება ვერ გამოსთქვა ენამ.

კლუბს

ქუთათურთა საშირყოვ,
შენც გილოცავ ახალს წელსა.
შემსვლელი და გამომსვლელი,
მითხარ რისთვის აფრქვევს ცრემლსა?

ქუთ. მოწაფეებს

სად შანტაჟი, სად მოწაფე?
უნდა იყვნენ შორი-შორსა,
მაგრამ თქვენში ვერვინ პოებს
კარგს მოწაფეს ათში ორსა...

სათ. სააზ. გიმნაზიას

დგეხარ მაგრამ ცალის ფეხით,
წარა-მარა იზნიქები.
სულ მობძავი უექიმოთ
ვერც სცოცხლობ და არცა კვდები.
საძირკველიც ჩაგიყარეს,
უცხო ბინა, რომ აგიგონ,
მაგრამ ვეჭვობ-მეშინია,
ყაზარმებათ არ წაგიღონ.

ბომბა

საახალწლო მილოცვა

დავითისა ხამფერასადმი

მოგილოცავ ახალ-წელს ათასნაირ ხილითა
დაგიკოცნი შავ-თვალებს დარიჩინით, ჰილითა.
მოგილოცავ ახალ-წელს თავის ზირთი-ფირთითა
და გიგზავნი ჩურჩხელებს ყინვარს-შაქარს ქილითა;
მოგილოცავ გულ-ღვიძლით ნუყლებითა ტკბილითა,
დაესწარი ბლომა წელს ქმრითა, შვილის-შვილითა;
გახსოვს ერთხელ ახალ-წელს რომ მაქებდი ცხვირითა
და თელეთს რომ წაველით სალოცავად, ვირითა;
გახსოვს შენის ეშხითა რომ დავითვერ ღვინითა
და ჯორივით რომ გავძეღ ლობიოთ და წნილითა;
გახსოვს კურკურ-მურკურით, რომ ვერ გავძეღ ლხინითა,
გიჟობანა დავიწყე და ემე ვქენ კბილითა...
ეხლა ხამფერ დავბერდი, თმას ვილებავ ინითა...
აღარ შემწევს ძალ-ღონე ვცხოვრობ ძველის ჟინითა;
შნორაკალიმ ქე მატაღ რომ გამაძღე ფლავითა
გენაცვალოს ფილტვებში შენი „გიჟი“ დავითა.

გრი—გრი

Ე 778/2
1909

გერმანეთი.—თუ შენ მომეცხო რამე, მოგეშველები ბოსნიაგერცოგოვინას დასაკუთრებაში.

ავსტროუნგრეთი.—რატომაც არა, როგორც პოლონეთზე ვსხედვართ ისე ბოსნიაგერცო-გოვინას დავაწვეთ!

გამომცემა **ვალერიან გუნიასი.**

განცხადებანი

დროება ყოველდღიური გაზეთი. წლიური ფასი 7 მან. ნახევარის წ ით 4 მან. ერთის თვით 90 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა № 12. Тифлисъ, редакція „Дроэба".

ვაისრუღოთ ქალაქის და სოფლის მამულების ბანკებში **დაგირავებას და გადაგირავებას** ტფილისი, ბელინსკის ქუჩა, № 19, თავ. ხერხეულიძის სადგომი. დილაობით 8 ნახ. 10 საათზე და საღამოობით 5 ნახევ. 7 ნახევ. საათზე შეიძლება წერილობითაც.

ნაკადულის პრემია წრეულ „ნაკადული" აძლევს პრემიად მარკ-ტვენის თხზულებას „ტომის თავგადასავალი," თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა. ვინც სრულ ფასს არ შემოიტანს „ნაკადული"-სას მათ პრემია არ გაეგზავნებად.

საკვირაო სკოლა 166 ემზერს სამრეველო სკოლის შენობაში ხელ-ახლა იწყება სწავლა ქალთა საკვირაო სკოლაში. მსურველთ მიიღებენ არა ნაკლებ 14 წლისა.

ფასკუნჯი ყოველკვირეული მხატვრული და სალიტერატურო გაზეთი ფასი წლის დამლევამდე 75 კ. ცალკე ნომერი 5 კ. ადრესი: Тифлисъ. О-во Грамотности.

ტფილისის ბიურო **ჟურნალ-გაზეთთა მთავარი** წარმომადგენელი მიხეილ გაჩეჩილაძე პროვინციის აგენტებს უგზავნის ტფილისის ყველა ქართულ რუსულ გამოცემებს. საჭიროა ახალი აგენტები ახალ ადგილებში. ადრესი: Тифлисъ, Сопань Мих. Гачечиладзе.

ЗАКАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ წლის დამლევამდე 1 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. ადრესი: Тифлисъ. Эриванская площадь д., Гургенова. რედაქტორი გ. ამირეჯიბი.

НОВОСТИ ЗАКАВКАЗЬЯ წლის დამლევამდე 1 მ. 50 კ. ცალკე ნომერი 5 კაპ. ადრესი: Тифлисъ. Эриванская площ. д. Кредитнаго О-ва. რედაქტორი. პართენ გოთუა.

ტფილისი. ელექტრო-მბეჭდავი წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა. ვანქის დიდი ქუჩა.